ფან-კლუბი

№ 13, 1 მაისი, ფ.50 თ.
გამოდის ყოველ ხუთშაბათს

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეხვეწი სტეფანეს
ა მოიგე კონცერტის
ილეთები

რომელი მარკის ავტომანქანა ჰყავს დათო ხუჯაძეს

დეიდა
ვასასის
სკანდალური
ჭორები

ილებავს
თუ არა
ომას ნინი
ხადურაშვილი

ვინ იქნება
ეთას მეჯვარე

ვისზე ფიქრობს
გურამ ლომიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

კითხვა-პასუხი

ფარჩაგნული ბიბლიოთეკა

გურამ ლომიძე ხშირად რაზე, ან ვისზე ფიქრობს?

ცირა, 13 წლის

გურამი: – ნიკუშაზე ვფიქრობ.

რამდენი წლისაა ზურა ხაჩიძე?

ნინო, 14 წლის

– ზურა 24 წლისაა.

რას ფიქრობს მამუკა ონაშვილი თამთა ქართველიშვილზე?

მამუკა: – თამთა კარგი მოცეკვავეა, მას პერსპექტიული მომავალი აქვს. მე იგი მიყვარს.

მაინტერესებს, აჩი ფურცელაძის ასაკი და დაბადების დღე.

– აჩი ფურცელაძე 23 წლისაა და იგი 5 დეკემბერსაა დაბადებული.

ვინ იქნება ქეთას მეჯვარე?

ქეთა: – ჩემი დაქალებიდან რომელიმე.

მაინტერესებს, რა ენაზეა ლელას სიმღერა „რასაც ისურვებ“?

ნატო, 15 წლის

– ეს სიმღერა ებრაულ ენაზეა.

რა მანქანა ჰყავს დათო ხუციძეს?

ნატო, 12 წლის

– დათოს ჰყავს "BMW".

სად ცხოვრობენ „ემის“ გოგონები?

გვანცა, 13 წლის

– „ემის“ გოგონები თემქაზე ცხოვრობენ.

როდისაა კახა კუხიანიძის დაბადების დღე?



– კახა 17 ივლისსაა დაბადებული.

ვინ არის ის გოგონა, რომელიც სტეფანეს კლიპშია?

– ის გოგონა მამუკა ღლონტის ქალიშვილია.

გაზეთი "ფან-კლუბი" ჟურნალ "ოსკარის" დამატებაა.
რედაქცია ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით.
გაზეთში მოყვანილი ჭორებისა და კულუარული ინფორმაციის შესახებ რედაქცია პასუხს არ აგებს.

მთ. რედაქტორი: ნოდარ მელაძე,
რედაქტორის მოადგილე: თამუნა გონგაძე.
ჟურნალისტები: ნინო კუტალაძე, თამთა მჭედლიშვილი.

გაზეთში გამოქვეყნებული ფასალების გადაბეჭდვის მეთხოვეთაში „ფან-კლუბის“ მოხსენიებაა აუცილებელია.

მესიჯები "ფან-კლუბში"

გაზეთი "ფან-კლუბი" გაძლევთ საშუალებას მომავალი ნომრიდან უფასოდ "ემესიჯოთ" თქვენს საყვარელ ადამიანს. ამისათვის ქვემოთ მოცემულ ბლანკში ჩაწერეთ ის ტექსტი, რომლის გამოქვეყნებაც გსურთ და გამოგზავნეთ ჩვენს რედაქციაში. მისამართი: კოსტავას 14, მე-2 სართული.

"ფან-კლუბი" №12

ჭრიჭლა-ჭრიჭლა ამბები

მსახიობსა და უკვე მომღერალ ეკა კახიანს ძალიან ჰყვარებია ფოტო-სურათები. მათი რიცხვი ეკას სახლში განუსაზღვრელია. კახიანების ოჯახში მისულები უამრავ ფოტოს გარემოცვაში აღმოჩნდებით – კედლები, თაროები, როიალი თუ "ტრილიაჟი", სავსეა მათი ჩარჩოებით. გამოდის, რომ მსახიობს მათი გადაღებაც უყვარს. ასე რომ, თუკი ეკასთან ფოტოს გადაღებას გადაწყვეტთ, იმედი გქონდეთ, სურვილს ადვილად დაიკმაყოფილებთ.

თაკო გაჩეჩილაძე თვლის, რომ მას თავის დროზე პოპულარობა მოუტანა „ბასტი-ბუბუმ". ალბათ, გახსოვთ მხიარული, პატარა, ხვეულთმიანი გოგონა, რომელიც რეპს ასრულებდა. იგი ისე ენერგიულად ცეკვავდა თავის ბანდასთან ერთად, რომ შეუძლებელი იყო მის თანატოლებში კეთილგანწყობა არ გამოეწვია. ასეც იყო. თაკოს იმ პერიოდში ბაძავდნენ კიდეც და მისნაირად „რეპავდნენ".

დიზაინერ ავთო ცქვიტინიძეს მალე ბებრდება ერთი და იგივე ვარცხნილობა. იგი ხშირ-ხშირად იცვლის იმიჯს. მას ბუნებრივად ხვეული თმა აქვს, თუმცა მისი სწორი თმით ნახვა არც თუ ისეთ იშვიათობას წარმოადგენს. ავთოს ხან მოზრდილი ვარცხნილობით ნახავთ, ხანაც მოკლე თმით, ერთი კი ფაქტია, იგი ყველანაირ „პრიჩოს" იხდენს.

ზურა ხაჩიძეს

სალამი „ოსკარსა" და „ფან-კლუბის" რედაქციას. გთხოვთ გამომიქვეყნოთ ლექსი, რომელიც ეძღვნება ზურა ხაჩიძეს, რომელიც მისი სიყვარულით არის გამთბარი და რომელიც მხოლოდ მისთვის დაიწერა... წინასწარ დიდი მადლობა!

ალისფერი ვარდები

„მე არაფერს გიბრძანებ,
მხოლოდ გემუდარები:
ერთხელ მაინც მაჩუქე
ალისფერი ვარდები!
მიფრინავენ დღეები...
ილევიან წამები...
ერთხელ მაინც მაკოცე
ამას გემუდარები...
სურვილს თუ შემისრულებ,
შენს თავს ვენაცვალები...
ერთხელ მაინც მომაპყარ
ეშხიანი თვალები!
ძილშიაც და ცხადშიაც
შენი სუნთქვა ჩამესმის...
მომეფერე, ძვირფასო,
ამას გემუდარები!
როცა მლევდე, გასცილდეს
ჩემი დანაბარები:
გულზე გადამაყარე
ალისფერი ვარდები!"

დიდი სიყვარულით „სკარლეტი"... (გემუდარებით გამომიქვეყნოთ სურათითურთ და კარგი იქნება თუ ნომერში მისი „სუპერ-პლაკატიც" გამოქვეყნდება) დიდი მადლობა თქვენ რომ არსებობთ!

(სახელს ავტორის თხოვნით არ ვასახელებთ).

დეიდა ვასასის!

დეიდა ვასასი, ისთე აღფრთოვანებული ვარ შენი ჭორებით, რომ ვერ მევითმინე შენთვის წერილი რომ არ დამეწერა. ნამდვილად იმსახურებ შექებას. როდესაც "ფან-კლუბს" ვყიდულობ ეგრევე შენს ჭორებს ვკითხულობ. მაგარი ვინმე ხარ, შენ გეიხარე, შენს გარეშე რა გვეშველებოდა. შენ იმდენად ხნიერი ხარ, რომ ძლივს კი დადიხარ, მაგრამ ამ თინეიჯერებმა ისე მეგხიბლეთ მე მგონი სულ გევიწყდება ბებერი ქალი რომ ხარ. რაფერ გეიგებ ამ ახალ-ახალ ჭორებს, ისთე შემიტყუებ ბოლომდე რომ ნევიკითხავ მორჩენა აღარ მინდა. ბევრი რომ არ გამიგრძელდეს და არ მოგაცდინო, გეტყვი, რომ ძალიან გვიყვარხართ, ძაან მაგარი ვინმე ხარ მასე გააგრძელე.

აბა ჰე!!!

„ვასასი მაგარი ქალია,
ჭორებ-ჭორების ავტორი,
მას შემოევლო ყველანი,
მან გეიხაროს ბოლომდის".

ლამარა მელიქიშვილი

ბატონ ბ. ბ.

გამარჯობა ძვირფასო „ფან-კლუბელებო", მე მინდა თქვენი საშუალებით მივმართო ლელას.

ლელა, მე ძალიან მიყვარხარ და დიდ პატივს გცემ, ოცნებად მაქვს გადაქცეული შენი გაცნობა, მოგვიანებით გილოცავ დაბადების დღეს და გისურვებ იყო ჯანმრთელი შენ ოჯახთან ერთად. შენი ფიქრით და ოცნებით თენდება და ღამდება დღე. შენნაირი ლამაზი და საყვარელი ადამიანი ჯერ არ შემხვედრია. ერთი სიტყვით, ძალიან, ძალიან, ძალიან მიყვარხარ „ლელა".

დეა, 13 წლის

წერილი გურამ ლომიძეს



გამარჯობა „ფან-კლუბელებო", მინდა ჩემი საბოლოო წერილი გამომიქვეყნოთ. იმედია არ მეტყვით უარს.

მე მინდა საბოლოოდ გამოვხატო ჩემი სიყვარული გურამ ლომიძისადმი და ერთი სათხოვარი მაქვს მასთან.

გურამ, მაპატიე, მაპატიე ჩემი ბლოკნოტის გამო. მე მგონი შენც მშვენივრად იცი რაზე ვლაპარაკობ. მინდა ბოდიში მოგიხადო ჩემი საქციელისთვის. შენ ნამდვილად სწორედ მოიქეცი. უბრალოდ, ძალიან გავნერვიულდი შენ რომ არ მოხვედი და ესეთი სისულელეები დავწერე ბოლო ფურცელზე. მაპატიე შენს ცხოვრებაში რომ ჩავერიე. ჩემგან მეტ წერილს ვეღარ მიიღებ, აღარ შეგაწუხებენ. ცუდად ნუ გამიგებ, უბრალოდ, მე შენს დავიწყებას ვცდილობ. იმედია გავა დრო და სიცილით გავიხსენებ შენდამი ჩემს სიყვარულს.

„მეგას" დაჯილდოებაზე ჩემი სკოლის წინ ბევრი ვარსკვლავი შეიკრიბა. სასწრაფოდ გამოვვარდი გაკვეთილიდან შენთვის სურათის გადაღება მინდოდა, მაგრამ აქაც გამიცრუვდა იმედი. მანქანიდან მხოლოდ ზურა გადმოვიდა. რას ვიზამ, ბედი არა მქონია.

მინდა საბოლოოდ დაგემშვიდობი და გისურვო ლამაზი ცხოვრებით გეცხოვროს, ბოლოს ჩემს სათხოვარზე გთხოვ ჩემი გამოგზავნილი ბლოკნოტიდან ბოლო ორი ფურცელი ამოხიე.

გურამის ვთხოვ ეს წერილი წაიკითხოს და თხოვნა შემისრულოს.

„გული მიკრძალავს შენზე
ფიქრი არ გავიკარო
და არასოდეს აღარ ვიყო
შენი მნახველი
მაგრამ ბაგეებს თითქოს და
გულის გასაჯავრებლად
მაინც და მაინც წამოსცდება
შენი სახელი".

მაია, 16 წლის

შენმა სიყვარულმა ტირილი მასწავლა

დათო ხუჯაძეს

მოგესალმები ჩემო სიცოცხლე დათუჩა, სიგიჟემდე მიყვარხარ, გაგიჟებული თაყვანისმცემელი ვარ, შენ ჩემს ცხოვრებას ლამაზი ფერებით ავსებ. ყოველ ღამე ოცნებებით შენთან ვარ, ვოცნებობ, რომ გაგიცნო, ჩაგეხუტო და გითხრა რა ძლიერ მიყვარხარ, ალბათ, ეს აუსრულებელი ოცნებაა, როდის იყო ადამიანი ვარსკვლავს სწვდებოდა? შენ ჩემი ვარსკვლავი ხარ, თანაც მიუწვდომელი, დათუჩა, მირჩიე სად გაგიცნო, ვთქვათ ქუჩაში შეგხვდი, შეიძლება რომ გაგიცნო? წინააღმდეგი ხომ არ ხარ? ან ხომ არ გწყინს რომ ჩემს წერილებში დათუჩას გეძახი? მიპასუხე გთხოვ, არ დამწყვიტო გული. მიყვარხარ ოკეანემდე.

შენზე გაგიჟებული
თათა აფციაური, 13 წლის

გამარჯობა ძვირფასო „ფან-კლუბელებო", მე თქვენი ერთგული მკითხველი თათია აფციაური ვარ და დიდ პატივს გცემთ, ამ წერილს ვწერ ჩემს მიუწვდომელ ვარსკვლავ დათო ხუჯაძეს. იმედი მაქვს გამომიქვეყნებთ, წინასწარ დიდი მადლობა.

გიგა კვენეტაძეს

გიგა, ჩემო კარგო, შენს სიმღერაზე ვგიჟდები. ეს მინდა შენი გაცნობა, რომ არ ვიცი რა გავაკეთო. ყოველდღე სიზმარში გხედავ. როცა ტელევიზორში შენი სახე ჩნდება, მთელი ტანი მიკანკალებს. გიგა, ჩემო კარგო, უშენოდ სიცოცხლე არ მინდა. შენზე კარგი ადამიანი ამქვეყნად არ არსებობს, შენ ჩემთვის უსაყვარლესი პიროვნება ხარ!

გკოცნი ბევრს. შენი მფარველი ანგელოზი უცნობი

აჩი მეფარიძეს

გამარჯობა ძვირფასო „ფან-კლუბელებო", მინდა დიდი მადლობა გადაგიხადოთ ამ გაზეთის დაარსებისთვის, რადგან თქვენი დახმარებით საშუალება მეძლევა მოვეფერო ჩემთვის ყველაზე საყვარელ მომღერალ აჩიკო მეფარიძეს, არავის არ სტოვებთ გულდაწყვეტილს და იმედია, არც მე დამტოვებთ. რისთვისაც წინასწარ გიხდით მადლობას.

მოგესალმები ძვირფასო აჩიკო მე შენ ძალიან გაფასებ, უზომოდ მიყვარხარ,მიყვარს შენი სიმღერები, რადგან მათი მოსმენისას სულიერად ვისვენებ, არაჩვეულებრივი ადამიანი ხარ, თავს აღარ მოგაბეზრებ და უბრალოდ გეტყვი, რომ მე შენს თაყვანისმცემლებთან ერთად სულ შენს გვერით ვიქნები, გისურვებ წარმატებას, უზომო ბედნიერებას და სიხარულს. ღმერთი იყოს შენი მფარველი.

შენზე უზომოდ შეყვარებული
ფანი თამრიკო, 18 წლის

„მადლობელი ვარ ყველაზე მეტად, იმიტომ, რომ შენ არსებობ!"

ლელა წურწუმიას

მოგესალმებით „ფან-კლუბელებო", მინდა გითხრათ, რომ ყველანი ძალიან კარგები და ნიჭიერები ხართ. ძალიან მიყვარხართ. გთხოვთ ჩემი ნერილი კვლავ გამოაქვეყნოთ თქვენს ჟურნალში, რადგან მე ხომ მხოლოდ ამით შემიძლია მივმართო ჩემთვის, ერთადერთს და განუმეორებელ ადამიანს.

ლელა, „ჩემო ერთავ", უზომოდ მიყვარხარ, სიგიჟემდე, ჩემს სიცოცხლეზე მეტადაც კი. შენ ხარ ადამიანი, რომელმაც ჩემს ცხოვრებას აზრი მისცა. მე ხომ შენით ვხედავ მზეს და ცას, შენზე ვფიქრობ და ამით ვცოცხლობ. მე არაფერს ვითხოვ შენგან, პირიქით, მინდა მოგცე ის, რაც გამაჩნია. მე ხომ მინდა, რომ „გიყურო მანამ, სანამ შენი ყურება არ დამაბრმავებს. ჩემო სიყვარულო!"

„მინდა ვუსმინო შენს ხმას, სანამ
შენი ხმა არ დამაყრუებს,
ჩემო სიყვარულო!"

„მინდა შენზე ვილაპარაკო მანამ,
სანამ შენზე ლაპარაკი არ დამამუნჯებს,
ჩემო სიყვარულო!"

ლელა, ჩემო სიცოცხლევ, გთხოვ, გეხვეწები, ამიხსენი სად შეიძლება შენი ახლოს ნახვა და გაცნობა კონცერტების გარდა, რადგან იქ არასდროს არაფერი არ გამომდის. გთხოვ,



უყურადღებოდ არ დატოვო შენზე უზომოდ შეყვარებული ადამიანი.

თამუნა ნადარია, 16 წლის

ჭრელა-ჭრელა ამბები

ეროვნული ბიბლიოთეკა

თურმე ნეკა სებისკვერაძე ბავშვობაში ლაიმა ვაიკულეს თაყვანისმცემელი ყოფილა. ვაიკულეს სიმღერაზე – „ჩარლი" პატარა ნეკას ცეკვაც კი დაუდგია. ცოტა მოგვიანებით, მან სპორტის სასახლესთან შუალამის ორ საათამდე იყურყუტა. მიზეზი გაინტერესებთ, არა? ნეკა ვლადიმერ პრესნიაკოვს ელოდებოდა ავტოგრაფი რომ აეღო. მიაღწია თუ არა მიზანს, ავტოგრაფით ხელდამშვენებულმა ნეკამ დატოვა იქაურობა.

მარიკა თხელიძეს სასტიკად არ ჰყვარებია კატები. – "ვერაფრით ვერ ვეკარები მათ, ერთადერთი კატა, რომელსაც ვეფერები, ეს ქეთა თოფურიას თეთრი ფუმფულა კატაა," – ეღიმება მარიკას. რაც შეეხება ძაღლებს, იგი დალმატინელს და კოკესპანიელს ანიჭებს უპირატესობას, თუმცა შიშის გამო მათ ვერ ეკარება და შორიდან ტკბება.

ქეთას გადაწყვეტილი აქვს ნოტები ისე საფუძვლიანად ისწავლოს, რომ მერე მათი დახმარებით შეძლოს სიმღერის კითხვა და წამღერება. მოსკოვში ყოფნისას, როდესაც ნოტები მიაწოდეს სიმღერის ჩასაწერად შესულს, იქ ვერაფერი გაიგო, ამიტომაც მომღერალი მის შესწავლას შეუდგა. მისი ნოტები სასტიკად აჭრელებულია, ქეთა კი მათი ზუთხვითაა გართული.

კითხვა-პასუხი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაინტერესებს, ნიკუშა ლომიძე გადავიდა თუ არა „ტელე-იმედზე“ და თუ ასეა, რა მიზეზით?

თინიკო, 16 წლის

– ნიკუშა მართლაც გადავიდა „ტელე-იმედზე“, რაც შეეხება მიზეზს, ეს მის პირად ინტერესებზე იყო დამოკიდებული, შესთავაზეს გადასვლა და გადავიდა კიდეც.

ინტერნეტში ლელას გვერდზე რატომ არ არის აღნიშნული მისი დაბადების წელი?

თამუნა, 16 წლის

– ასე ძალიან თუ გაინტერესებს, გეტყვით, რომ ლელა 1969 წელს დაიბადა.

ვყავს თუ არა ნეკას შეყვარებული და ვინ არის იგი?

გვანცა წილოსანი, *13 წლის*

– ნეკა არ ამხელს ვინ არის მისი შეყვარებული, თუმცა არ მალავს, რომ გამიჯნურებულია.

აპირებს თუ არა დათო ხუჯაძე ახალი ალბომის გამოშვებას?

ლიკა, 14 წლის,
სოფო, 15 წლის

– რა თქმა უნდა, დათო ახალ ალბომზე მუშაობს.

იღებავს თუ არა თმას ნინი ბადურაშვილი?

თეო, 14 წლის

ნინი: – შენაღები მაქვს, ახლა კი ჩემი ბუნებრივი ფერის თმას ვატარებ.

ვინ იღებს სალომე გასვიანს ფილმში?

გოგიტა, 14 წლის

– სალომეს სოსო ჯაჭვლიანი იღებს თავის ფილმში.

ვყავს თუ არა „ემის“ წევრებს და ან ძმა?

– ეკას და იას დაც ჰყავთ და ძმაც.

როდის ჩაწერს ახალ სიმღერას ნათია გოგიტიძე?

– სულ მალე, ჯერჯერობით მისთვის უნდა შეიქმნას სოლო სიმღერა და მერე ჩაწერს.

რომელ ეკლესიაში დადის ქეთა?

თაკო, 15 წლის

– ქეთა სიონში დადის.

მაინტერესებს, ვინ არის კატოს მეუღლე?

მანანა, 18 წლის

– კატო ამ თემაზე საუბარს თავს არიდებს.

რამდენი წლისაა ლექსსენი?

მანანა



– ლესქს-სენი 22 წლისაა.

ჩაწერს თუ არა თამთა გოგუაძე დუეტს „გუჩისთან“?

თამთას ფანი არმენა, 17 წლის

თამთა: – მე უკვე ჩავწერე „გუჩისთან“ დუეტი და მას ჰქვია „ვიცეკვოთ ერთად“, რემიქსი.

რატომ გახდნენ „ქუჩის ბიჭები“ ფანების მიმართ ცივები და აგრესიულები?

თაკო და ეკა

– თქვენ ნამდვილად ცდებით, „ქუჩის ბიჭები“ ცივები და აგრესიულები რომ ყოფილიყვნენ, ისინი „ფან-კლუბის“ შეხვედრაზე არც მოვიდოდნენ. ისინი უსაზღვრო სითბოსა და სიყვარულს გამოხატავენ ფანების მიმართ. ამას ბიჭები ყველა კონცერტზე გამოსვლისას ადასტურებენ.

კითხვა-პასუხი

ეროვნული ბიბლიოთეკა

სად ცხოვრობს ლელა წურწუმია?

ანა, 13 წლის

– ლელა ვაკეში ცხოვრობს.

წამოვიდა თუ არა დათო გომართელი "ტელე-იმედიდან"?

– ჩენთვის ცნობილი გახდა, რომ დათო გადაცემა "ლარისმახეს" აღარ წაიყვანს. რაც შეეხება სხვა სატელევიზიო პროექტებს, ამის შესახებ ჯერჯერობით ინფორმაცია არ ვრცელდება.

რატომ არ შეასრულა ლელამ II სოლო კონცერტზე „ქუჩის ბიჭებთან" დუეტი „ოცნება შენზე" და სოსო პავლიაშვილთან დუეტი „გული გელოდა"?

– ამის მიზეზი მარტივია – „ქუჩის ბიჭები" ესპანეთში იყვნენ, სოსო კი – მოსკოვში.

მოსწონს თუ არა ზურას თანამედროვე სტილი?

კიწი, 10 წლის.

ზურა: – რა თქმა უნდა, მომწონს თანამედროვე სტილი.

რატომ არ ჩანს „მაესტროზე" გიორგი ჩიქობავა?

თამუნა, 14 წლის



– როგორც გავიგეთ, გიორგი წამოვიდა „მაესტროდან" და იგი „მეცხრე არხზე" გადავიდა.

მართლა თხოვდება თუ არა თამუნა გომართელი?

– როგორც თამუნა ამბობს, იგი ამ ეტაპზე გათხოვებას არ გეგმავს, რადგანაც ემზადება ახალი სატელევიზიო გადაცემის მოსამზადებლად.

ვინ არის კახა კუხიანიძის კუმირი?

ეკა, 15 წლის



კახა: – ჩემი კუმირია უიტნი ჰიუსტონი. მასზე ვგიჟდები.

რომელ კომპანიაშია გაწევრიანებული დათო ხუჯაძე?

დაჯი, 18 წლის

– დათო არც ერთ კომპანიაში არაა გაწევრიანებული.

როგორი ურთიერთობა აქვს სალომე გასვიანს მის თაყვანისმცემლებთან და თუ დაამახსოვრდა რომელიმე მათგანი?

ხატია ხარებავა, 14 წლის



– სალომეს ყველა თაყვანისმცემელთან კარგი ურთიერთობა აქვს და უამრავ მათგანთან მეგობრობს კიდეც.

როგორი ბიჭები მოსწონს ქეთა თოფურიას.

გიორგი სტურუა, 11 წლის

ქეთა: – მომწონს მაღალი შავგვრემანი, მამაკაცური სტილის დაღვინებული ბიჭები. ვერაფრით ვერ ვურთიერთობ ცანცარა და უინტელექტო ბიჭებთან.

ვისთან გეგმავს დუეტს „ქუჩის ბიჭები"?

თაკო

– „ქუჩის ბიჭები" მერაბ სეფაშვილთან გეგმავს დუეტს.

რამდენი წლისაა ლელას შვილი?

მარიამი, 10 წლის

– ლელას შვილი წლის და ორი თვისაა.

ვინ ახმოვანებს ჯაბანა პაპას?

ნუკი, 17 წლის

– ჯაბანა პაპას ახმოვანებს გოგა ხაჩიძე.

როგორი ხასიათი უნდა ჰქონდეს გოგონას, რომელიც ზურას მოეწონება?

ნინო, 18 წლის

ზურა: – უნდა იყოს თავის თავში დარწმუნებული, თავმდაბალი, ნაზი და ამავდროულად თამამიც.



თურმე რაფერ მომნატრებიხართ?!

– ისთე მემენატრეთ, რომ თქვენთან შეხვედრის მოლოდინში სული კილამ დემელია. ზოგჯერ ისე მემეძალება კალმის ხელში ალების სურვილი, რომ ყველაფერზე უარს ვამბობ და ფურცლებს ვეტაკები. ეგი რა გეიგონა ჩემმა ყურებმა?! ენერგიული და ერთგული აჩი ფურცელაძე შოუ-ბიზნესიდან წასვლას არ აპირობს, თურმე! ეგი რომ გევიგე, გული თუ არ გამისკდებოდა არ მეგონა. აჩი აღარც სიმღერას და აღარც სალამოების წაყვანას აპირობს. წარმეიდგინეთ ახლა კონცერტი აჩის გარეშე რა იქნება. რაფერ უნდა გავძლოთ მისი ენერგიული ტემბრის გარეშე, ვერ გეტყვით. რომ ვკითხე, მიზეზი არაფრით არ მითხრა, მაგას არ გავამხელო. მერე დაამატა – რაფერც ჩუმად მევედი შოუ-ბიზნესში, ისე ჩუმად მივდივარო. ჯგუფ „ვინდში" რას იზამს არ ვიცი, მარა რადიოში რომ რჩება, ქე ვიცი. ასე რომ, მხოლოდ „ფორტუნას" ეთერით თუ მევისმენთ მის ხმას და ისთე თუ დევიკონტაქტებთ, თვარა სცენაზე ანი ვერ ვნახავთ.

***

– ვასასი დეგენაცვლოთ, კაია ხომ ლამაზი ქალი ეკრანზე?! თვალსაც უხარია და გულსაც. კატო ზუსტად ისე-

თი გოგოა, მე რომ ვიყავი ახალგაზრდობაში – ფერიანი და ხორციანი. მარა, რავარც ვატყობ, მან გვარიანად დეიკლო წონაში. მე „კეჩუპების სიმღერის" დროს, ცეკვისას მაგას რომ ვაკვირდებოდი, მაშინ ძვალმსხვილი იყო, ხელში მოგყობოდა, მარა ახლა რომ ვნახე, აპა, ისე გამხდარა, რომ ნემსის ყუნწში გეეტევა. თურმე კატოს მისი ძველი სისქე აკომპლექსებდა და თავისუფლად ვერ ცეკვავდა. – "ერთი პერიოდი სახლში ჩავჯექი და იმდენს ვაცხობდი და ვამზადებდი სადილებს, რომ ეს ჩემს ჰაბიტუსზეც აისახა", – აცხადებს კატო. ჰოდა, ამდგარა და ამ პრობლემას დიეტით გამკლავებია. ისთე, მართალი გითხრათ, არ მესმის ამ ახალგაზრდების, რა მოსწონთ სიგამხდრეში? ჩემს დროს ვარდისფერი ლოყებით და კარგი ფერ-ხორცით ფასდებოდა ქალი. სუსტ და გაფიჩხულ ქალს ვინ მოუხედავდა უკან? ეჰ, რავა ყველაფერი უკულმართი უყვართ ახლანდელ ახალგაზრდებს!

***

– გურამიკოს პატარა ნიკუშა იმისთანა კეთილი და საყვარელი ვილაცა ყოფილა, რომ მის შემხედვარეს წამსვე სასიყვარულო სიტყვები დაგცდებათ.

ბოვშვს მამიკოსნაირი ეშმაკუნა თვალები აქვს და სიცილის დროს ისთე ჭუტავს, რომ არ უჩანს. ის ანგელოზი ისეთი კონტაქტური და თბილია, რომ საერთოდ არ იცის უცხოობა და თავისი ჭკუით გეთამაშება, გილიმის და გეპრანჭება. ძვირფასი მამიკო თვლის, რომ ნიკუშა მას ჰგავს არა მარტო თვალებით და სახით, არამედ ხასიათითაც.კი. იცით, ალბათ, რომ მისი ნთლია დიდი ნიკუშა ლომიძეა, ჰოდა, ამიტომაც ხატია თვლის, რომ მის მსგავსად პატარა ნიკუშასაც უამრავი თაყვანისმცემელი ეყოლება.

***

– ამ გოგოს ხმა ძალიან მომწონს, იგი ძლიერი და ემოციური ტემბრის მქონეა. ვითომ მიხვდით ახლა ვისზე ვსაუბრობ? ჰო, ბატონო, ვერიკო ტურაშვილ-

ზე. სულ ცოტა ხნის წინ იგი გაბედნიერდა და ორსულადაა. ამ მდგომარეობის გამო თურმე თითქმის ყველგან აგვიანდება, საქმიანი შეხვედრა იქნება ეს თუ უმნიშვნელო აუდიენცია. ზის სახლში, ამზადებს სადილებს და მეუღლეს პირს ატკბარუნებინებს თავისი ნახელავებით. ქე გევიგე, რომ მომღერალი სექტემბერში ელოდება ბოვშვის გაჩენას. მისი სახით თუ ვიმსჯელებთ, იგი ბედნიერია. ასეც უნდა იყოს, აბა რა.

***

– ოო, სიყვარულსა მალვა უნდაო, ქეა ნათქვამი, მარა ვინ უყურებს და ვინ იცავს ამ წესებს?! მალავენ კი არა, პირიქით, სააშკარაოზე გამოაქვთ ყველაფერი. ეგია ახლა ჭეშმარიტი სიყვარული? მეტი არაა ჩემი მტერი ამ თაობამ სიყვა-



რული და პატივისცემა იცოდეს. რაფერც თქვენმა ვასასიმ გეიგო, მომღერალი კახა კუხიანიძე ერთ ჟურნალისტს ჰყვარებია. გოგონა ისეთივე გაფშეკილი და უფერულია, როგორიც ყველა თანამედროვე სუსტი სქესის წარმომადგენელი. ერთ-ერთი კონცერტის მსვლელობის დროს გოგო ისე ეხვეოდა კახას, როგორც ვაზის ყლორტი ტალავერს. მართალი გითხრათ, კახაც არ იყო გულგრილი და ისიც საპასუხო რეაქციით მოქმედებდა, მაგრამ, აბა, მითხარით, ეგ არის ქალობა და სინაზე? მე რომ კაცი ვიყო, ამისთანა ქალს რავა შამოვუშვებ სახლში? პა, პა, არა, შენი ჭირიმე, ნამეტანი უშნო საქციელის ახალგაზრდობა მოდის, მოაშორე აქიდან, ძველ დროში მინდა დაბრუნება.

***

– უიმე, პატარა ლუკა ცისკარიძე ისეთი კაცუნა დაბადებულა, რომ მამას შეხედვისთანავე შეყვარებია



ვაჟიშვილი. კახუჩელას სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, როცა გაიგო რომ ბიჭის მამა გახდა. პაწია დედიკოსაც ჰგვანებია და მამასაც. მისი სახელი ორივეს შერჩეულია, უფრო კი მირანდას სდომებია ლუკას დარქმევა. იმ პატარა ვაჟკაცს შემოევლოს ვასასი ბებო, ღმერთმა დიდი, სახელოვანი ბიჭი გაზარდოს.

კითხვა-პასუხი

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომელ წელს დაიბადა Pink-ი?

– Pink-ი დაიბადა 1979 წლის 8 სექტემბერს.

რა პროფესიისაა Pink-ის ბოიფრენდი?

– კერი ჰარტი არის მოტომრბოლელი.

რომელი ზოდიაქოს ნიშნის ქვეშ არის დაბადებული JLO?

– JLO ზოდიაქოს ნიშნით არის კიბო.

რამდენი წლისაა შაკირა?

– შაკირა არის 26 წლის.

პირებს თუ არა შერი დუეტის ჩაწერას?

– შერის ბრიტანულმა ჯგუფმა „Dexie Chicks" შესთავაზა დუეტის ჩაწერა, თუმცა ჯერჯერობით მას თანხმობა არ მიუცია.

ყავს თუ არა და-ძმა ბენ ეფლეკს?



– ბენს ერთი ძმა ჰყავს, მისი სახელია კეისი და ისიც მსახიობია.

რომელ თვეესა და რიცხვში დაიბადა ემინემი?



– ემინემი დაიბადა 17 ოქტომბერს.

რომელ წელს დაიბადა ბრედ პიტი?

– 1963 წელს.

რა ჰქვია სელინ დიონის ქმარს.

– რენე ანჯელილი.

რომელ თვეშია დაბადებული ლეონარდო დიკაპრიო?

– ნოემბერში.

რამდენი წლის იყო ბრიტნი, როცა „მიკი მაუსის" კლუბში მღეროდა?

– 11-ის.

ვინ არიან ემინემის საყვარელი მომღერლები?



– Dr Dre, 2Pac-ი, Run dmc...

რამდენი წლისაა კამერონ დიასი?

– კამერონი არის 31 წლის.

რატომ მოიშორა ხალი ენრიკე იგლესიასმა?

– იმიტომ, რომ მობეზრდა.

რომელ წელს დაიბადა ენრიკე იგლესიასი?

– 1971 წელს.

ყავს თუ არა ამჟამად რიკი მარტინს შეყვარებული?

– როგორც რიკი ამბობს შეყვარებულია, თუმცა მისი სიყვარულის ობიექტის ვინაობას არ ამხელს.

რომელია შერის საყვარელი სუნამო?

– YSL-ის, „Baby Doll"-ი.

მესიჯები

გურამ ლომიძეს!

გურამიკო გილოცავ დაბადების დღეს, გისურვებ ბედნიერებას შენს ცოლ-შვილთან ერთად. ძალიან მიყვარხარ.

შენი ერთგული ფანი მაკა.

ლელა წურწუმიას!

ლელა ჩემო სიცოცხლე ძალიან მიყვარხარ. გისურვებ ყველაფერ კარგს. მინდა ყოველთვის ბედნიერი იყო „მამულიჩასთან“ და ჩემს სიცოცხლე მარიკუნასთან ერთად. ღმერთი გფარავდეთ მთელს ოჯახს. გახსოვდეს ყოველთვის შენს გვერდით ვარ.

„ისტერიჩკა“, 18 წლის

ნინიკო ბუაჩიძეს, ქეთი გაბედიას და სალო პაპიაშვილს! ბავშვებო, თქვენ ჩემი საუკეთესო მეგობრები ხართ და ამ ბრწყინვალე გაზეთის საშუალებით გეუბნებით, რომ ძალიან, ძალიან მიყვარხართ!

თამუნა ჩალაგაშვილი

გიორგი 15 მაისს დაბადების დღე მაქვს, შეპირებული საჩუქარი არ დაგავიწყდეს.

ნინუცა

ლელა ძალიან მიყვარხართ თქვენც და თქვენი პატარა

ირაკლი დიეტაზე დაჯექი თორემ ისევე გადაგიყვარებ, როგორც შემიყვარდი.

ირინა ჯ.

ლელა წურწუმიას ყველა ფანის საყურადღებოდ. მომავალ „ფან-კლუბში“ გამომიგზავნეთ მესიჯები, შევხვდეთ ერთმანეთს და გავცვალოთ ის პლაკატები და ინფორმაცია, რომელიც გაგვაჩნია მომღერლის შესახებ.

„დადუნა“

ეს ჩუმად ნათქვამი სიტყვები მინდა ყველამ ხმამაღლა გაიგოს. ნინო ძალიან მიყვარხარ. ეს მინდა, რომ შენ იგი ვეს გრძნობდე. შენ ჩემი ოცნების ქალი ხარ.

დათო ხაჟომია

„ფან-კლუბელებო“ მიხარია თქვენი რუბრიკა “მესიჯების” გამოსვლა, დაგრმესიჯებთ ბევრჯერ. ახლა გეტყვით რომ მაგრები ხართ.

ჩემს უნაზეს ყვავილს „იაჩოს!“ დაილოცოს „ფან-კლუბის“ მესიჯები, წინააღმდეგ შემთხვევაში მე ვერ შევძლებდი შენთვის სიყვარული ამეხსნა. მოვიდა გაზაფხული, მაგრამ მე მაინც ვერ ვბედავ ის ერთადერთი მაგიური სიტყვა ვთქვა, რომელიც მთელ სამყაროს მოიცავს. კალამთან და ფურცელთან გაცილებით მეტის უფლებას ვაძლევ თავს. ამიტომაც ჩემო სიცოცხლევ, მინდა იცოდე, რომ მე შენ ძალიან მიყვარხარ.

შენი მსხვერპლი

ლექსო, გილოცავ დაბადების დღეს, გაიზარდე დიდი ბიჭი.

შენი ქობულეთელი თაყვანისმცემელი.

ნიკას!

ნიკა არ მინდა შენი გვარი ყველამ გაიგოს, უბრალოდ გეტყვი – „ბონძღი“, ძალიან მიყვარხარ. ვიცი, რომ ამ გაზეთს კითხულობ და მინდა გთხოვო შემირიგდე – იქნებ დავიწყოთ თავიდან.

გაზეთი “ფან-კლუბი” საშუალებას გაძლევთ პირისპირ შეხვდეთ თქვენს საყვარელ მომღერალს –

სტეფანეს

ამისათვის საჭიროა შეაგროვოთ ის ბარათები, რომელსაც ჩვენი გაზეთი პერიოდულად გამოაქვეყნებს და ის, ვინც შეაგროვებს ციფრებს 001, 002 და მიიღებს მონაწილეობას გათამაშებაში, რომლის პირობებიც გამოქვეყნდება გაზეთ “ფან-კლუბის” მე-13 ნომერში, დასაჩუქრდება ბილეთით, რომლის საშუალებითაც იგი პირისპირ შეხვდება სტეფანეს კლუბ “ნეოში“.

001 “ფან-კლუბი” №12, 2003

სალომე გასვიანი იუბილარია

მომღერალი სალომე გასვიანი 6 მაისს კლუბ „დალოოდში“ იუბილეს აღსანიშნავად ემზადება. სალომეს იუბილეზე მოწვეულნი იქნებიან ჟურნალისტები, მომღერლები და სალომეს მეგობრები. ამავე საღამოს შედგება სალომეს ახალი სიმღერების პრემიერა. გაზეთი „ფან-კლუბი“ სალომეს წინასწარ ულოცავს იუბილეს.

აბა, გამოიცანი



ისინი, ვინც გამოიცნობთ ვინ არიან გამოსახულნი ამ ფოტოებზე, დაგვიკავშირდით ორშაბათს, 17 საათიდან. ტელ: 98-95-79

გასართობი გვერდი

შეამოწმეთ თქვენი ცოდნა

1 1) ქვემოთ მოყვანილი მაგალითებიდან რომელია წყლის აღმნიშვნელი ფორმულა?

A) H2O | B) O2 | C) Fe | D) CuO

2 ტერიტორიის სიდიდის მიხედვით, რომელია მსოფლიოში ყველაზე დიდი სახელმწიფო?

A) კანადა | B) ჩინეთი | C) რუსეთი | D) ინდოეთი

3 რომელი ქვეყანა არ მდებარეობს სკანდინავიის ნახევარკუნძულზე?

A) ფინეთი | B) შვედეთი | C) პორტუგალია | D) ნორვეგია

4 ქვემოთ ჩამოთვლილი სახელმწიფოებიდან რომელია თეოკრატიული მონარქია?

A) აშშ | B) მონაკო | C) მალტა | D) ვატიკანი

5 სადაური იყო ცნობილი მხატვარი სალვადორ დალი?

A) ფრანგი | B) ესპანელი | C) ინგლისელი | D) იტალიელი

6 ვინ მღერის სიმღერას – „არ გაჩერდე?"

A) „სეთი" | B) მაია ბარათაშვილი | C) თიკა ფაცაცია | D) ქეთა თოფურია

ასოციაციობანა

ასოციაციობანა

ტაუერი	„კიჭა"	„მუნდიალი"	ფიზკულტურა
შექსპირი	"რეალი"	ბლატერი	ვარჯიში
ქვეყანა	№9	ორგანიზაცია	ჯანმრთელობა

მოცემული ასოებით შეადგინეთ სიტყვა

ა ი ზ ვ დ რ ი ნ ო



ჟურნალ-ცნობილ ადამიანები

ერროვნული ბიბლიოთეკა



ლელა წურწუმია მშვენიერი მოცურავე ყოფილა. მას ძალიან უყვარს ცურვა, თუმცა ტალღებში არასდროს შედის. – "საშინლად მთრგუნავს ტალღები, არასდროს იმ დროს არ შევდივარ ზღვაში, როდესაც ღელავს. ყოველთვის მაცებს სართულებიან უზარმაზარ ტალღებს რა ძალა სნევს იმ სიმაღლეზე" – აცხადებს მომღერალი.

სალომე გასვიანი, თავისი მიღწევების მიუხედავად, საოცრად თავმდაბალი ბავშვია. იგი ყველას ისეთი სითბოთი და სიყვარულით ხვდება, როგორც თავის ახლობელს. გოგონა საოცრად მოსიყვარულე და გულწრფელია. მას ისევე უხარია სხვისი წინსვლა და წარმატება, როგორც თავისი.

ქ-ნი დარეჯანი (დედა): - საოცრად გულშემატკივრობს ყველას, განიცდის, უხარია, მათთან ერთად ნერვიულობს და არის ერთ ამბავში, ვიცი, ბევრს სხვისი წარმატება არ ახარებს, სალომე ასე არაა, პირიქით.

ქრისტინე იმედაძე ხშირად კონტაქტობს თავის თავთან. ეს კონტაქტი გამოიხატება სარკეში ორეულთან საუბრით. ხშირად მომღერალი ტირილით, გაბრაზებული და აფორიაქებული, ეკონტაქტება ვიღაც ტიპს. ამ დროს იგი იმდენად არტისტული ჟესტებით საუბრობს, რომ ბოლოს ავიწყდება კიდეც რაზე ტიროდა.

ჭრიალა-ჭრიალა ამბები

ახლახან მერაია ქერიმ ყველა რეკორდი მოხსნა და თავის ახალ სინგლზე „Boys“ გადაღებულ კლიპში ათჯერ გამოიცვალა სამოსი. ამ კლიპში მასთან ერთად რეპერი Cam'ron-იც მონაწილეობს, ვიდეორგოლის რეჟისორად კი ჯოზეფ კანი გვევლინება. საუბრობენ იმის შესახებაც, რომ კლიპში მერაიას კომპიუტერის დახმარებით მოდელის ფეხები აქვს დამონტაჟებულიო, რადგან თვითონ საკმაოდ პუტკუნაა და დიდად არც ფეხები უვარგა.

ახლახან გავრცელდა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ პოპულარული ბოი ბენდის „Blue“-ს ერთ-ერთი წევრი დუნკანი „ცისფერია“ და იგი ელტონ ჯონის საყვარელია. დუნკანმა ეს ინფორმაცია უარყო და აღნიშნა, რომ გელფრენდი ჰყავს და ვერ ხვდება ამ ამაზრზენ ჭორებს ვინ იგონებს. თავად ელტონ ჯონს კი ამ საკითხთან დაკავშირებით ჯერჯერობით კომენტარი არ გაუკეთებია.



შაკირა აცხადებს, რომ დიეტა ცხოვრებაში არ დაუცვია და ყოველთვის ჭამს ყველაფერს რამდენიც უნდა. „განსაკუთრებით შოკოლადი მიყვარს და დღე არ გავა ისე, რომ ტკბილეულით პირი არ ჩავიტკბარუნო“ – ამბობს მომღერალი. თუმცა შაკირა ბევრს მოძრაობს, ცეკვავს, რის გამოც ბევრ კალორიას ხარჯავს და გაძლიერებული კვების მიუხედავად მაინც არ სუქდება.

JLO+ბენი და მათი ფანები

ჯენიფერ ლოპესმა თავისი კარიერა ცეკვით დაიწყო, იმ დროს მას საკმაოდ შეზღუდული რაოდენობის თაყვანისმცემელი ჰყავდა. მოგვიანებით ჯენიფერმა ჰოლივუდში მოსინჯა თავისი შესაძლებლობები და ფილმში „სელენა“ მთავარი როლი შეასრულა. მისი ფანების რაოდენობა ნელ-ნელა იზრდებოდა და მათმა რიცხვმა პიკს მაშინ მიაღწია, რო-

ცა JLO-მ სასიმღერო კარიერას მოჰკიდა ხელი. იგი მსოფლიოში ერთ-ერთ ყველაზე პოპულარულ და მაღალშემოსავლიან ლათინო-ამერიკელ შემსრულებლად იქცა.

ლოპესის თაყვანისმცემლების უმრავლესობა თინეიჯერი გოგონები და მამრობითი სქესის წარმომადგენლები არიან.

კრიტიკოსების განცხადებით, ფანებს JLO ძირითადად გარეგნობის და აღნაგობის გამო მოსწონთ, სიმღერას კი მეორეხარისხოვანი როლი ენიჭება.

ვნახოთ რას ფიქრობენ სინამდვილეში ამ საკითხთან დაკავშირებით ჯენის თაყვანისმცემლები...

ჰილარი ლუისი (16 წლის): – JLO მსოფლიოში ნომერ პირველი მომღერალია, არის ძალიან ლამაზი, ცეკვავს ფანტასტიკურად, აქვს რითმული და მელოდიური სიმღერები. როცა მისი ხმა მესმის ტანში ჟრუანტელი მივლის, მას გამორჩეული ვოკალი აქვს – მის ხმას ყველასგან გამოარჩევ.



ქვედუს როუპი: – მე ლოპესის ნომერ პირველი ფანი ვარ. მასზე ლამაზი ქალი

მსოფლიოში არ მეგულება. ვოცნებობ, რომ ერთ დღეს ბენ ეფლეკად გადავიქცე და თუნდაც ერთი დღე მაინც იყოს ჯენიფერი ჩემი. მისი რეპერტუარიც ძალიან მომწონს. ჯენის აბსოლუტურად ყველა ალბომი მაქვს და 24 საათი ვუსმენ. ვეცნობი მის ყველა ინტერვიუს, მაქვს მისი უამრავი პლაკატი და მისი ბიოგრაფია საკუთარზე უკეთესად ვიცი.

რაც შეეხება JLO-ს საქმროს, უსიმპათიურეს ბენ ეფლეკს მას ლოპესისგან განსხვავებით უმეტესწილად მდედრობითი სქესის წარმომადგენელი ფანები ჰყავს და ძალიან პოპულარულ მსახიობად ითვლება.

აღსანიშნავია, რომ ბენის ფანების დიდი ნაწილი ლოპესს ვერ იტანს და მათ არანაირად არ სიამოვნებთ ის ფაქტი, რომ ეს წყვილი სულ მალე დაქორწინდება.

ეფლეკს თაყვანისმცემლებთან ძალიან თბილი და კარგი დამოკიდებულება აქვს და როგორც თავად ამბობს, მას გამაღიზიანებელი ფანები საერთოდ არ ჰყავს.

„როცა ფანებს ვხვდები და მათგან სითბოს ვიღებ, მაშინ ძალიან ბედნიერი ვარ, რადგან ვხვდები, რომ ამ ადამიანებს ჩემი პერსონაჟები უყვართ, ჩემი ფილმები მოსწონთ, ამით კი მე ჩემი შრომის ნაყოფს ვიმკი და ეს მართლაც საოცრად სასიამოვნო შეგრძნებაა“ – ამბობს ბენი.

– ამდენი ფანის ყოლა ზოგჯერ დამღლელი ხომ არ არის?

– შეიძლება ვეღაცისთვის კედელიც ჰრიალ, მაგრამ საკუთარ თავზე ამას ვერანაირად ვერ ვიტყვი. ჩემს თაყვანისმცემლებს საკმაოდ იძვიათად ვნახულობ და ვერ ვხვდები მათ როგორ უნდა შემანუხონ.

– ავტოგრაფების დარიგება, ფანებთან სურათების გადაღება თქვენ არ გღლით?

– როცა პროფესიად მსახიობობას ირჩევ, არც ფანები უნდა გაღიზიანებდეს და არც ავტოგრაფების დარიგება, რადგან ეს ყველაფერი ჩვენი პროფესიის ნაწილია.

– არც ის ფაქტი გაღიზიანებთ, რომ თქვენი თაყვანისმცემლების უმეტესობას თქვენი მომავალი მეუღლე დიდად გულზე არ ეხატებათ?

– ვინ გითხრათ, რომ მათ ჯენიფერი არ უყვართ. ეს ყველაფერი ჟურნალისტების მიერ შეთხზული ჭორია და იგი არანაირად არ შეესაბამება სიმართლეს.

– როგორც ვიცი, მალე MTV-ის დახმარებით თქვენ ორ ყველაზე ერთგულ ფანს შეხვდებით – მათ რაიმე განსაკუთრებულ სიურპრიზს ხომ არ უმზადებთ?

– ვნახოთ, ჯერ ზუსტად არ გადამიწყვეტია, ისე კი, ძალიან მიხარია, რომ მათ ვხვდები, რადგან, ჩემი აზრით, ასეთ ერთგულ ფანებს მართლაც უნდა ვიცნობდე.

მოამზადა
თამთა მჭედლიშვილმა

ერთვნული ბიბლიოთეკა

სასმელი „კოკა ...“

ქართული საასალნ-ლო ტაბი-ლეული

ზოლებია-ნი ფხანი

სოფელი კასპის რ-ში

ფრე

სოფლის მეურნე. სეფსია-ლისტი

უზბეკური სესტრა-დო ანს-ამბული

ხის სახლი დასავლეთ საქართ-ველოში

ამერიკუ-ლი სო-რტ. ნან. ფირმა

ბოლერა-ლი ... ფარტადო

წელინად-ის 1/12

ქალაქი ამერიკაში

ყურძნის ფრანგე-ლი ჯიში

მსახიობი... უილსონი

ჩანაფიქრი

სამზერი ოპტიკური ხელსაწყო

მგალობე-ლი ჩიტი

ნიეთიე-რების უმფირესი ნანილაკი

ქალაქი ბრაზი-ლიაში

ბდინარე საფრან-გეთში

... ფუფაკი

სამყარა ბალახი

ქალაქი ბელო-რუსიაში

ხელოვნე-ბის მთ. ფუზა რომ.

ქალაქი თურქეთში

ესპანური ფეკვა

... ბიბსონი

ზეიგენის სახეობა

სახალხო ბოლერ. ყაზახეთში

„კიტერ ...“

ზეგანი ანუ

გამარჯვ-ების ქალ-ღმერთი

მსახიობი დერილ ...

... ბალზაკი

ჭიდაობის სახეობა

ბიბლიური კერსო-ნაჟი

„ბარსელ-ონას“ ფეხბურ-თელი

რუსული „ეაეა“

ბაბილო-ნური ღვთაება

ყველის სახეობა

მხეიარა მფენარე

ჩეხეთის დედაქა-ლაქი

ბერძნული ანბანის ასო

... იოსე-ლიანი

ძვ. სპარ-სული ბახეილი

თბილისის „ლოკომ-ოტივის“ ფეხბურთ.

ეწერალი კეფოკოვის ფსეფდო-ნიმი

ფოკოლა-დის ხე

... ეაიკელე

ხანა. ეპოქა

„დეზინფ-ორმაცია“ ქარგონზე

... ნიკელინი

ბათეფატი-კური ფედერა

ბრიუს ...

„დაისი“ კერსო-ნაჟი

ჩოგბურ-თის ფოდანი

ქალაქი რუსეთში

ოეეზის ქალი

ქართული სორტუ-ლი თამაში

ჭადრაკის ფიგურა

ჭადრაკის საერთაშ-ორ. ფედერაცია

მეგართეა ბაკონიაში ქაფისადმი

ამერიკე-ლი ჩოგ-ბურთელი ქალი

ბიბლიური კერსონა-ჟი

ბდინარე რუსეთში

... ბოლინზი

ამავე ნომრის პასუხები

ლაბირინთი მე-10 გვ-ზე
დინოზავრი

შეამოწმეთ თქვენი ცოდნა
კონკურსი მე-11 გვ-ზე
1–A, 2–C, 3–D, 4–D, 5–B, 6–C.

ასოციაციობანა
ფეხბურთი.

სკანვორდი მე-13 გვ-ზე

1-12 – კოლა, 2-5 – გოზინაყი, 2-7 - ზებრა, 2-8 – მირიანი, 2-9 – ყაიმი, 3-5 – აგრონომი, 4-12 – იალი, 5-7 – ოდა, 5-12 – ნაიკი, – 6-1 – ნელი, 6-5 – თვე, 6-6 – არონი, 6-10 – პინო, 6'-12 – ფეტა, 6-12 – აზრი, 7-5 – ბინოკლი, 7-7 – იადონი, 7-9 - ატომი, 7-15 – ბაია, 8-1 – ალიე, 8-3 – ივო, 8-5 – იონჯა, 9-9 – ორშა, 9-11 - კამენა, 9-13 – რიზე, 10-4 – ბოლერო, 10-11 – მელ, 10-13 – მაკო, 11-4 – აკინი, 11-10 – პენი, 13-11 – პლატო, 13-13 – ნიკე, 14-2 – პანა, 14-3 – ონორე, 14-5 – სამბო – 14-6 – აბელი, 14-12 – სორინო, 14-15 – ურა, 15-15 – ანუ, 16-7 – ბრინზა, 16-8 – სურო, 16-14 – პრალა, 16-15 – ალფა, 17-1 – ოტია, 17-4 – აკინაკი, 17-7 – გალიარდო, 17-8 – გორაკი, 17-10 – კაკაო, 17-15 – ლაიმა, 18-13 – ერა, 19-2 – დეზა, 19-5 – იური, – 20-3 – პი, 20-6 – ლი, 20-11 – ცანგალა, 20-13 – კორტი, 20-16 – ტულა, 21-6 – ფხა, 21-11 – ლელო, 21-12 – ეტლი, 23-5 – ფიდე, 24-8 – სან, 24-9 – აგასი, 25-4 – იუდა, 25-5 – ენისეი, 25-12 – ფილ.

სკანვორდი მე-14 გვ-ზე

1-4 – ისლი, 1-10 – რეალი, 1-11 – კანადა, 2-7 – ასა, 3-8 – დოლი, 4-7 – სია, 4-9 – ონო, 5-10 – ეკა, 5-14 – თონნე, 5-16 – ბოსი, 6-1 – ლილ, 6-2 – ბუ, 6-14 – ასე, 8-2 – კურდღელი, 8-8 – ნატო, 8-9 – მონა, 8-14 – სი, 9-14 – სარა, 9-15 – გეა, 10-4 – ურო, 10-5 – კანდელაკი, 10-6 – ანკარა, 10-8 – ადამი, 10-9 – სეიმი, 10-12 – კაი, 10-16 – სიროფი, 11-13 – აგური, 12-3 – პარკი, 13-9 – ეტნა, 14-2 – ინა, 14-3 – უპე, 14-9 – აბი, 15-7 – ვენა, 15-14 – ფა, 15-16 – აფრა.

სკანვორდი მე-16 გვ-ზე

1-2 – კარატე, 2-13 – თოლია, 2-14 – სინი, 2-15 – ლია, 4-8 – ორი, 4-13 – ლი, 4-15 – სი, 5-1 – მაია, 6-10 – კენგურუ, 6-15 – სოული, 7-6 – ფიესტა, 7-10 – ლასო, 7-12 – ოლე, 8-2 – რეალი, 8-13 – ალ, 8'-15 კოსა, 8-15 – კაკტუსი, 9-2 – მედეა, 9-8 – ლეი, 10-2 – ალადინი, 10'-8 – ფა, 10-8 – იო, 10-14 – ხაფი, 10-16 – კალა, 11-9 – ალთე, 12-5 – გადია, 12-16 – ილეინა, 13-1 – ალია 13-5 – მაო, 13-14 – ძერა, 13-16 – კოლბა, 14-11 – ბალი, 15-1 – მანტია, 15-5 – ოტია, 15-14 – მე.

ანეკდოტები

„გახეული“ მთვრალი რელსებს ყრის რკინიგზაზე.

– რას შვები, კაცო?! – წამოადგა პოლიციელი.

– რელსებს ვყრი, მე ამ ცხოვრების დედა!“

– მთვრალი ხარ, ბიჭო? აპა ამეისუნთქე.

– მთვრალმა პოლიციელს ცხვირში „შეაორთქლა“, პოლიციელი დაბარბაცდა.

– მომეცი „ლომი“, ახლა ჩემი ჯერია სიმონ.

* * *

– რიგითო სმიტ! თქვენ რა, იდიოტად მთვლით?

– არ ვიცი, სერ, – პასუხობს რიგითი, – სულ ერთი თვეა, რაც ამ ქვეგანაყოფში ვარ.

* * *

– ზედამხედველო, რატომ გაგეცა პატიმარი?

– ეკითხეთ ბოინას ოფიცრებს.

– გასაღებით გააღო და წავიდა.

– გასაღები შენ არ გქონდა? ე.ი. მიეცი, არა?

– კარტში მომიგო...

* * *

– გოგონა, ძალიან მომწონხარ, სახლში არ წამომყვები?

– ავად ვარ, ბიძია.

– რა ბიძია ვარ, გოგო, მე შენი, მაინც რა გჭირს?

– ს-ზე იწყება ბიძია...

– მერე რა... სკლეროზი გადამდები არაა...

* * *

– იცი, ვთხოვდები.

– ვისზე?

– კარგი ტიპია, ჭკვიანი, მდიდარი, ოლონდ ნაკლი აქვს ერთი...

– რა ნაკლი?!

– ჩემზე ორჯერ უფროსია.

– შეუძლებელია! მაგ ასაკამდე ადამიანები ვერ აღწევენ.

სკანვორდი



ერთგვარი მუნარე
ესაანური ვერცხლის ფული
ქვეყანა ჩრ.ამერიკაში
შეკასილი ცეკვაში
დასარტყამი მუს.საკრავი
ჩამონა-თვალი
იოკო ...
„ლაბის კარიერის“ ყოფილი ნამყვანი
ერთგვარი კერის საყოფელი
პატრონი. ფესვეული ავგ-ში.
... კიბე
ლაბის ფრინველი
გამამთთ-რებელი საფულეკა
ქვეთა თოფურარის დედა
ყვა
საბანი ნარდში
ფეოდალ კონორის სახელი
ქვესანელის ქალდგერთი ბერძ.მით-ში
ფიდი ჩაკეში
ქართველი ფოკრეკე
თურქეთის ფედერალაქი
პირველი ადამიანი
ერთეულები-ანი პარლა-მენტი ზენითში
ბერდას ძმა
შეკრანი ნაალი
საფეხბურთო გასალა
ფიდი ბალ. სკვერი
ველური ბალიაში
ბუნებრივი საღებავი
თვალის ქოხი
ნამლის ტაბლეტი
სინგ-კარული
ფეოთხე მუს.ნოტი
ილქანი

SHAKIRA

სკანვორდი

სამახსოვრო ფოტოები





ყურადღება!

მათ, ვინც შეაგროვა გაზეთ “ფან-კლუბში” გამოქვეყნებული ბარათები 001, 002 და აქვთ სურვილი შეხვდნენ **ნეკა სებისკვერაძეს**, უნდა დაგვიკავშირდნენ “ფან-კლუბის” რედაქციაში სამშაბათს, 29 აპრილს 18 საათზე. მკითხველთა შორის შეირჩევა 70 ყველაზე აქტიური მკითხველი და ისინი პირისპირ შეხვდებიან ნეკას.

ეროვნული ბიბლიოთეკა